

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

ურიდიული მისამართი: ბათუმი, მემედ აბაშიძის #41, ს/კ 245675880

ბათუმი

ბრძანება #02-03/28 25 ნოემბერი 2015

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში ორგანიზაციული ცვლილების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) განხორციელებაში საკონსულტაციო კომისიის შექმნის შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსათვის კანონით დაწესებული ვალდებულების უკეთესად განხორციელების მიზნით, აუცილებელია სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირება. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებისა და რეორგანიზაციის გეგმის ეფექტურად განხორციელებისათვის, ვხელმძღვანელობ რა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულების 5.3.2. ქვეპუნქტითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2015 წლის 20 ნოემბრის N02-03/25 ბრძანების მე-3 პუნქტით:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) განსახორციელებლად დირექტორი ქმნის საკონსულტაციო კომისიას (ე.წ. დანერგვის ჯგუფს);
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკონსულტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი წევრებით: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მეჩვევლთა საბჭოს წევრები - ზაზა ხალვაში და რუსუდან იმედაიშვილი, დირექტორი - სოსო სტურუა, დირექტორის მოადგილე - ჯემალ გვეტაძე, გენერალური პროდიუსერი - ირაკლი ბარამიძე, პროგრამების სამსახურის უფროსი - ინგა გოგოლიშვილი და რადიოს მენეჯერი - გიორგი მოისწრაფიშვილი. ამ პუნქტში აღნიშნულმა ადამიანებმა წინასწარ განაცხადეს თანხმობა დანერგვის ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობაზე;
3. დანერგვის ჯგუფი იკრიბება კვირაში ერთხელ და მას ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო დირექტორის არყოფნის შემთხვევაში - მისი მოადგილე.
4. დანერგვის ჯგუფი გადაწყვეტილებებს ღებულობს ღია კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია დირექტორის ხმა. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა;
5. დანერგვის ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალშვილის ქუჩა N30) მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი



სოსო სტურუა